მადრიდის საერთაშორისო...

მადრიდი. 3 სექტემბერი. აქ დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო მინი-ტურნირი ფეხბურთში, სადაც ევროპის საუკეთესო კლუბები მონაწილეობდნენ.

"სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე 90 ათასი მაყურებელი დაესწრო მატჩს პირველი ადგილისათვის მადრიდის "რეალსა" და ჰოლანდიის ქალაქ ალკმარის "აზ-67"-ს შორის. თამაშის მსვლელობაში ვერც ერთმა გუნდა ვერ მიაღწია უპირატესობას - 0:0. დამატებითი პენალტები უფრო ზუსტად გამოიყენეს მადრიდელებმა და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:2, მთავარი პრიზიც მათ ხვდათ წილად.

უკიდურესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მატჩი III ადგილისთვის თბილისის "დინამოსა" და მიუნხენის "ბაიერნს" (გფრ) შორის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ტურნირი უკვე მესამედ იმართება და "ბაიერნი" ორჯერ იყო მისი მფლობელი. თბილისელებმა საუკეთესოდ ითამაშეს ამ საქვეყნოდ განთქმული გუნდის წინააღმდეგ და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. პირველი ბურთი მე-3 წუთზე გაიტანა სვანაძემ. 24-ე წუთზე ბრაიტნერმა გაქვითა გოლი, მაგრამ შენგელიამ 29-ე წუთზე გადამწყვეტი ბურთი გაიტანა, დინამოელებმა ეს ანგარიში ბოლომდე შეინარჩუნეს და დაეუფლნენ მესამე ადგილს. "ბაიერნის" დამარცხება თბილისის "დინამოს" დიდი მიღწევაა.

თბილისის "დინამოსა" და მიუნხენის "ბაიერნის" ჭაბუკთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ - 5:5. დამატებით პენალტების სერიით გაიმარჯვეს დინამოელებმა - 11:10.

საკდესის ამ ინფორმაციას ვუმატებთ დამატებით ცნობებს, რომლებიც თბილისის "დინამოს" გუნდის უფროსმა კ. ასათიანმა გადმოსცა გუშინ ტელეფონით მადრიდიდან:

- ესპანელმა მსაჯმა წინასწარ გააფრთხილა ორივე გუნდის კაპიტნები, რომ ფეხბურთელებს მინდორზე მკაცრად დაეცვათ წესრიგი და არ ეუხეშათ. თავისი სიტყვების დასამოწმებლად მან თამაშის დროს გააფრთხილა "ბაიერნის" ცნობილი მოთამაშე ბრაიტნერი, რომელმაც არ დააყოვნა გამოეთქვა უკმაყოფილება. შემდეგ გერმანელთა კარში დაინიშნა პენალტი და ბრაიტნერმა თვითნებურად დატოვა მინდორი.

ამის მერე ხელით ითამაშა რუმენიგემ, მსაჯმა იგი დააჯარიმა და როცა ამ უკანასკნელმაც დემონსტრაციულად გამოხატა უკმაყოფილება, იგი გააძევეს მინდვრიდან.

ბრაიტნერმა და რუმენიგემ მინდვრის კიდესთან რაღაც მოილაპარაკეს და მთელ თავიანთ გუნდს მოსთხოვეს თამაშიდან გასვლა. "ბაიერნი" დაემორჩილა თავისი "ვარსკვლავების" მოთხოვნას და გავიდა მინდვრიდან.

თბილისის დინამოელები შეიკრიბნენ მოედნის ცენტრში და მიესალმნენ მაყურებლებს, რომლებმაც ტაშით დააჯილდოვეს ისინი. ამის შემდეგ მსაჯმა შეწყვიტა თამაში. ეს მოხდა პირველი ტაიმის 43-ე წუთზე.

ამ მეტად მნიშვნელოვანი სუპერტურნირის საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნიეს თბილისის "დინამოს" თავდამსხმელი ვლადიმერ გუცაევი. საუკეთესო ბომბარდირის პრიზი დაიმსახურა რამაზ შენგელიამ.

"ლელო", 5 სექტემბერი, 1981 წ.